საქართველოს
სასამართლოს
გუშაგი

გორის რაიონული სასამართლოს პროცესების მონიტორინგის შედეგები (ანგარიში)

18 ოქტომბერი - 5 ნოემბერი, 2021 წელი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

მონიტორინგის შედეგების (ანგარიშის) მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

<u>სასამართლო პროცესებს დააკვირდნენ ჩვენი მოხალისეები:</u>

მარიამ ქანაშვილი (გორი), ლიკა გოგიშვილი (გორი), გვანცა იჩქითი (გორი), ნატალია ბარათაშვილი (თბილისი), ნათია ჯანეზაშვილი (გორი), დავით სოლომონიძე (თბილისი), მარიამ კაპანაძე (გორი), ნათია ბერუაშვილი (გორი), ქეთევან ბერიძე (გორი), ბახვა ხარაიშვილი (თბილისი), მარიამ ქვარცხავა (თბილისი), ვიქტორია ფრუიძე (გორი), ნიკოლოზ ქამაშიძე (თბილისი), ნინო ადუაშვილი (გორი) და მარიამ ქობალია (თბილისი).

მონიტორინგის ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი:

ნაზი ჯანეზაშვილი, საქართველოს სასამართლოს გუშაგის დირექტორი

© 2021, საქართველოს სასამართლოს გუშაგი

შინაარსი:

1. ზოგადი მიმოხილვა
2. მონიტორინგის მეთოდოლოგიის აღწერა
3. სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები (ანგარიში)
4. ძირითადი მიგნებები

1. ზოგადი მიმოხილვა

„საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ 2021 წლის ივლისში დაფუძნდა, ორგანიზაციის მისიაა საქართველოს მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და სასამართლოს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. 2021 წლის სექტემბერში ორგანიზაციამ USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით დაიწყო 2-თვიანი პროექტი *„მოქალაქეთა მიერ სასამართლოს მონიტორინგის წამოწყება“*, რომლის უმთავრეს ამოცანას სასამართლოს განვითარების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ინსტრუმენტის შექმნა წარმოადგენდა. პროექტი ფოკუსირებული იყო მხოლოდ გორის რაიონულ სასამართლოზე, სადაც მოხალისეთა მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგი ჩატარდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი მცდელობა საქართველოში, როდესაც მოხალისე მოქალაქეები შევიდნენ სასამართლო დარბაზებში პროცესების მონიტორინგის მიზნით. „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ მოხალისეები გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე პროცესებს ესწრებოდნენ 2021 წლის 18 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით, საერთო ჯამში დააკვირდნენ 69 სასამართლო სხდომას (აქედან სისხლის სამართლის საქმე - 38, სამოქალაქო - 26, ხოლო ადმინისტრაციული - 5 საქმე).

თავდაპირველ ეტაპზე, 2021 წლის 19 სექტემბრიდან 27 სექტემბრის პერიოდში, „საქართველოს სასამართლოს გუშაგმა“ გამოაცხადა მოხალისეთა მიღება სასამართლოს მონიტორინგის პროექტში მონაწილეობის მისაღებად, შედეგად მონიტორინგის პროცესში ჩართვის სურვილი გამოთქვა 30-მდე პირმა. სასამართლო პროცესების მონიტორინგის დაწყებამდე მოხალისეთათვის ჩატარდა 5 ლექცია, როგორც სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიაზე, ასევე სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე. თითოეულ ლექციას 22-25 ადამიანი ესწრებოდა, რომლებსაც უძღვებოდნენ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე თეიმურაზ თოდრია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე მაია კოპალეიშვილი, ადვოკატი ეკა ლომიძე, ადამიანის უფლებათა იურისტი თამარ ავალიანი და „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ წარმომადგენელი. საბოლოოდ სასამართლო პროცესებს მონიტორინგის მიზნით დაესწრო 15 მოხალისე, როგორც გორიდან, ასევე თბილისიდან.

„საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ განსაკუთრებულ მადლობას უხდის USAID-ს და EWMI/PROLoG-ს პროექტის მხარდაჭერისთვის. ასევე, მადლობას უხდის პარტნიორ ორგანიზაციას Fundacja Court Watch Polska-ს (Polish Court Watch), რომლებიც მოხალისეობრივ საწყისებზე ჩაერთნენ პროექტში და გაგვიზიარეს ის გამოცდილება, რომელიც მათ პოლონეთში 10 წლის განმავლობაში სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად მიიღეს. ამასთანავე, ორგანიზაცია მადლობას უხდის ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

ორგანიზაცია მადლიერებას გამოხატავს თითოეული მოხალისის მიმართ, ვინაიდან ისინი ენთუზიაზმით ჩაერთნენ დაგეგმილ აქტივობებსა და სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროცესში, რითაც მათ პროექტის იდეის განხორციელება შესაძლებელი გახადეს.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ თანამშრომლობდა გორის რაიონულ სასამართლოსთან, შედეგად ჩვენს დამკვირვებლებს ჰქონდათ ნებისმიერ ღია სასამართლო სხდომებზე, მათ შორის, დისტანციურ სასამართლო პროცესებზე დასწრების შესაძლებლობა. დადებითად უნდა შეფასდეს გორის რაიონული სასამართლოს თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა, რომლებიც მოხალისეებს საორგანიზაციო საკითხებში უწევდნენ დახმარებას მონიტორინგის მიმდინარეობისას.

2. მონიტორინგის მეთოდოლოგიის აღწერა

საქართველოში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. მართალია, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო რეფორმები, თუმცა ფართო საზოგადოება აღნიშნულ პროცესებში ჩართული არ ყოფილა. გამომდინარე აქედან, „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ ინიციატივით დაიგეგმა გორის რაიონული სასამართლოს პროცესების მონიტორინგი ინოვაციური მეთოდოლოგიით, კერძოდ - <u>სასამართლო პროცესების მონიტორინგი მოხალისეთა მიერ.</u>

სასამართლოს მონიტორინგის ეს მეთოდოლოგია სწორედ იმიტომ არის განსხვავებული საქართველოში სხვა კარგად აპრობირებული მოდელებისგან, რომ ის ტარდება მოხალისეების მიერ, რომლებიც შესაძლოა საერთოდ არ არიან გამოცდილი იურისტები და სასამართლო პროცესებს აკვირდებიან, როგორც მოქალაქეები. მიგვაჩნია, რომ მოქალაქეთა მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგი წარმოადგენს საზოგადოების ჩართულობის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას, რომლის მეშვეობითაც იზრდება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა და საჯაროობა. სასამართლო მონიტორინგის

საჭიროება კიდევ უფრო გაიზარდა პანდემიის პირობებში, რადგან გორის რაიონული სასამართლოს მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო სხდომები ტარდებოდა ფაქტობრივად დამსწრეების გარეშე, იშვიათი გამონაკლისების გარდა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

საქართველოს კონსტიტუციის გარდა, სასამართლოში საქმის ღია სხდომაზე განხილვის უფლება, როგორც სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ნაწილი, მოცემულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში. გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს თავის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად აქვს სრული თანასწორობის საფუძველზე, იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. გაეროს ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, რომ მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მისი სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას და მისთვის წაყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას საქმე გონივრულ ვადებში, სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. გარდა ამისა, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) განმარტებით, ხარისხიანი მართლმსაჯულების შესაფასებლად მნიშვნელოვანია, გამოკვლეულ იქნას რამდენად არის სამართალწარმოების პროცესი სამართლიანი; სასამართლო პროცესი გამჭვირვალე, გასაგები და სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო.[1]

[1] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) განმარტება, მართლმსაჯულების ხარისხის შეფასება, 2016, https://rm.coe.int/measuring-quality-of-justice-cepej-2016-12-georg/16809c8962

აქედან გამომდინარე, ღია სასამართლო პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სასამართლო პროცესების საჯაროობა სასამართლო სისტემის მეტ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს და დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებს იცავს. „სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების“ თანახმად, მოსამართლის მიერ მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა ვრცელდება არა მარტო გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ ყველა საპროცესო მოქმედებაში, რომელიც ამ გადაწყვეტილებების მიღებას ახლავს. მოსამართლის ქცევა სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების ნდობას უნდა ამაღლებდეს. მოსამართლის მიმართ ნდობა უნდა ჰქონდეს არა მარტო დავის მხარეებს, არამედ საზოგადოებას - გარე, ობიექტურ დამკვირვებელს. ,,ბანგალორის პრინციპები“ მოსამართლეებს ავალდებულებს, რომ გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. ის, თუ რამდენად მიიღებს და მხარს დაუჭერს საზოგადოება სასამართლო გადაწყვეტილებებს, დამოკიდებულია საზოგადოების რწმენაზე მოსამართლეთა პატიოსნებისა და დამოუკიდებლობისადმი.[2]

გაეროს ,,ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“[3] მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესაფასებლად ობიექტური დამკვირვებლის სტანდარტს იყენებს და სასამართლოს სამართლიანობის შესაფასებლად საზოგადოების აღქმით ხელმძღვანელობს. სასამართლო პროცესებზე დაკვირვების უფლება, სამოქალაქო საზოგადოების ხელთ არსებული ძლიერი ბერკეტია, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგისთვის. სასამართლო დარბაზში ყოფნით, მოქალაქეებს, როგორც საზოგადოების წარმომადგენლებს, შეუძლიათ განახორციელონ ერთგვარი სოციალური კონტროლი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, ასევე გაეცნონ, რეალურად როგორ მუშაობს სასამართლო სისტემა. გამომდინარე აქედან, სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება არის გზა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში, საზოგადოებასა და სასამართლოს დააახლოებს ერთმანეთთან.

მოქალაქეთა მიერ სასამართლოს მონიტორინგის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების გაზრდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველ ეტაპზე ეს გამოიხატება იმაში, რომ მონიტორინგის დაწყებამდე მოხალისეებს უტარდებათ ლექციები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებსა და მონიტორინგის მეთოდოლოგიაზე. ამდენად, სასამართლო პროცესებზე დაკვირვების ამ მოდელის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის ერთდროულად საგანმანათლებლო და სამოქალაქო გამოცდილება მოხალისეებისათვის.

სასამართლო პროცესების სამოქალაქო მონიტორინგის ეს მეთოდოლოგია ეფუძნება ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის Polish Court Watch-ის გამოცდილებას, მაგრამ მისი

---

[2] ,,სამოსამართლი ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, GIZ, თბილისი, 2015.

[3] გაეროს პრინციპები მოსამრთლეთა დამოუკიდებლობის შესახებ http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi14.pdf

შემუშავების დროს „საქართველოს სასამართლოს გუშაგმა“ გაითვალისწინა ქართული თავისებურება.

სამოქალაქო მონიტორინგის მიზნები:

1. სანდო და სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ მოქალაქეები საქართველოს სასამართლოებს. **მონიტორინგის დროს დაკვირვების საგანია შემდეგი საკითხები:** *მოსამართლისა და პროცესის სხვა მონაწილეთა პუნქტუალობა; სხდომის დახურვის მიზეზები პრაქტიკაში; იმ შემთხვევაში თუ მხარეს ჰყავს ადვოკატი, როგორია მოსამართლის ქცევა მხარეებთან მიმართებაში და პირიქით; რამდენად ეთიკურია მოსამართლე, ასევე, როგორი კომუნიკაცია აქვს მხარეებთან და მათ წარმომადგენლებთან; რამდენად გულისხმიერად ასრულებს მოვალეობას მოსამართლე და თანაბარი შესაძლებლობები ეძლევათ თუ არა მხარეებს; ხომ არ ტოვებს მოსამართლე მიკერძოებულის შთაბეჭდილებას და რატომ; როგორ რეაგირებს მოსამართლე მხარეთა პროტესტზე; ხომ არ ტოვებდა მოსამართლე მოუმზადებლის შთაბეჭდილებას; ხომ არ მიმართა მოსამართლემ რომელიმე მხარეს უხეშად ან აგრესიულად; ასევე, მნიშვნელოვანია სხდომის მიმდინარეობისას გამორთო თუ არა მიკროფონი მოსამართლემ და რატომ, რადგან შესაძლოა ამის გამო მხარის ინტერესი დაზიანდეს; თუ სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების (ან განაჩენის) გამოცხადებით, მიაწოდა თუ არა მოსამართლემ მხარეებს ინფორმაცია გასაჩივრების წესთან დაკავშირებით; მოსამართლემ გააცნო თუ არა მხარეებს მისი გადაწყვეტილების შინაარსი; ამავე დროს მნიშვნელოვანია დამკვირვებლის შთაბეჭდილება, რამდენად გასაგებად წარმოადგინა მოსამართლემ გადაწყვეტილება; დაბოლოს, დამკვირვებლის შეფასება იმის თაობაზე, მთლიანობაში რამდენად სამართლიანად მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი.*

2. მოქალაქეთა მიერ სასამართლოს მონიტორინგის კიდევ ერთი, პარალელური მიზანია დამკვირვებლების ცნობიერების ამაღლება ისეთ სამართლებრივ საკითხებზე, როგორიცაა სასამართლო სისტემა, მისი ფუნქციონირება, მოსამართლის როლი, შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობა, მოსამართლის მიუკერძოებლობა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა. რაც საბოლოო ჯამში გულისხმობს ინფორმირებულ, მაღალი მართლშეგნების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას და რწმენის განმტკიცებას სამართლისადმი.

3. მესამე ძირითადი მიზანია სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესება. გრძელვადიან პერსპექტივაში კი სამოქალაქო მონიტორინგი სასამართლოს დაეხმარება საზოგადოების ნდობის მოპოვებაში.

რატომ მოხალისეები?

მოხალისეებს, რომლებსაც არ აქვთ იურისტის გამოცდილება ან საერთოდ არ არიან იურისტები, რამდენიმე უპირატესობა აქვთ. ერთ-ერთი ისაა, რომ სასამართლო მათთვის უცხო ადგილია, ამიტომ ისინი ისეთ დეტალებს ამჩნევენ, რომლებიც ყურადღების მიღმა რჩებათ მათ, ვინც სასამართლოს ზედმიწევნით იცნობენ. ეს საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ მოქალაქეების პერსპექტივა, რომლებიც წარმოადგენენ სასამართლოს მომხმარებელთა უმრავლესობას და არა პრაქტიკოს იურისტებს, რომლებიც შესაძლოა, სასამართლოების პრაქტიკაში არსებულ გარკვეულ დისფუნქციას ხედავდნენ, როგორც გარდაუვალ ნაკლს ან საერთოდაც აღიქვამდნენ ნორმად. ამასთანავე, სასამართლო პროცესების მონიტორინგში მოხალისეთა მონაწილეობით შესაძლებელია მონიტორინგის ფართო მასშტაბით ჩატარება.

○ მოხალისეთა შერჩევისა და დატრენინგების პროცესი

მოხალისეებად შეირჩევიან ნებისმიერი ასაკის სრულწლოვანი მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ სიღრმისეული იურიდიული პრაქტიკა ან არიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. პოლონური ორგანიზაციის Polish Court Watch-ის გამოცდილებამ აჩვენა, რომ როგორც წესი, მოხალისეთა უმრავლესობა სტუდენტია, საქართველოშიც ანალოგიური სიტუაციაა. პროექტში მონაწილეობის ინტერესი გამოთქვეს, როგორც გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ასევე თბილისში მდებარე სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებმა, ძირითადად, მომავალმა იურისტებმა. ამავდროულად მოხალისეთა შორის იყვნენ სამოქალაქო განათლების საგნის პედაგოგი და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტი.

სასამართლო პროცესების მონიტორინგის დაწყებამდე, მოხალისეები მონაწილეობდნენ ონლაინლექციებში, რომელთა თემატიკა გამომდინარეობდა მონიტორინგის კითხვარის შინაარსიდან და ძირითადი საკითხები მოიცავდა შემდეგს: *მონიტორინგის მეთოდოლოგია; სასამართლო სისტემის სტრუქტურა; სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, სამართლიანობის პრინციპი და სასამართლო; სამართლის უზენაესობა; მოსამართლის როლი და განსხვავებები სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დარგებში; სამოსამართლო ეთიკა; სასამართლოში მონაწილე პირთა უფლებები და მოვალეობები.* <u>უნდა აღინიშნოს, რომ მოსამზადებელ ლექციებზე დასწრება მოხალისეს სასამართლო პროცესების მონიტორინგის განხორციელებას არ ავალდებულებს.</u>

○ სასამართლო პროცესების მონიტორინგი

მონიტორინგი განხორციელდა 2021 წლის 16 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე პერიოდში. დამკვირვებლები რეგულარულ რეჟიმში ესწრებოდნენ პროცესებს დღის განმავლობაში 11 სთ-დან 17 სთ-მდე პერიოდში. რაც შეეხება კონკრეტული საქმეების შერჩევას, მოხალისეები თავად იღებდნენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელ სასამართლო პროცესს დააკვირდებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მოხალისეები ცდილობდნენ, რომ მონიტორინგისთვის განსაზღვრული დროის განმავლობაში მოეცვათ მაქსიმალურად მეტი რაოდენობის სასამართლო პროცესი. ორგანიზაცია შეეცადა, რომ პროცესების შერჩევის დროს მოეცვა საქმეთა ყველა კატეგორია, თუმცა საბოლოო ჯამში რაოდენობის თვალსაზრისით სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეები აჭარბებს ადმინისტრაციულ საქმეებს.

თითოეულ სასამართლო პროცესს დამკვირვებლები ინდივიდუალურად ესწრებოდნენ, რადგან სასამართლო პროცესზე ამ ფორმით დაკვირვება უფრო მნიშვნელოვანი გამოცდილებაა და უკეთ ასახავს სასამართლოსთან მიმართებით რიგითი მომხმარებლის გამოცდილებას.

მოხალისეები იყენებდნენ კითხვარს, რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ (გვარი, სახელი, სასამართლოსა და მოსამართლის დასახელება და სხვ.), ასევე თემატურ კითხვებს სასამართლო სხდომის პროცედურის, მოსამართლეთა მიუკერძოებლობის, შეჯიბრებითობის, სამოსამართლო ეთიკის დაცვის, მხარეთა უფლებების პატივისცემის შესახებ და სხვა.

კითხვარი *(იხ. დანართი)* უნივერსალურია და შეეხება სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლო პროცესების მონიტორინგს. მონიტორინგის ინსტრუმენტში კითხვების სიმარტივე ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია, ასევე აუცილებელია, რომ კითხვები ძირითადად იყოს „დიახ/არა“ ტიპის, რათა შესაძლებელი იყოს მათი ძირითადი რაოდენობრივი ანალიზი. თუმცა მონიტორინგის ფორმაში არის ადგილი პასუხების განმარტებისთვის; ასევე, არის ცარიელი სივრცე დამკვირვებლის მიერ ჩანაწერებისა და სპონტანური შენიშვნების გასაკეთებლად. მონიტორინგის დასრულების შემდეგ მოხალისეები შევსებულ კითხვარს აწვდიდნენ ორგანიზაციას, რომელიც შესაბამის ბაზაში აისახებოდა.

3. სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგი ჩატარდა 69 სხდომაზე (აქედან სისხლის სამართლის საქმე - 38, სამოქალაქო - 26, ადმინისტრაციული - 5).

- **ჩატარდა თუ არა სასამართლო სხდომა, რომელიც დაგეგმილი იყო**

სისხლის სამართლის საქმეები: იმ პროცესებიდან, რომლებიც მოხალისეებმა შეარჩიეს, გადაიდო მხოლოდ ერთი მათგანი, რადგან დამკვირვებლის თქმით, მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.
სამოქალაქო საქმეები: ერთი სხდომა არ ჩატარდა.
ადმინისტრაციული საქმეები: ყველა დაგეგმილი პროცესი ჩატარდა.

- **სასამართლო სხდომის დაწყების დაგეგმილი და ფაქტობრივი დრო, ასევე დაგვიანების მიზეზი**



<u>სისხლის სამართლის საქმეებზე</u> სასამართლო პროცესის დაგვიანების მიზეზები, როგორც დამკვირვებლებმა განმარტეს შემდეგია:

- ✓ *პენიტენციური სამსახურის პრობლემა (2 შემთხვევაში).*

- *სასამართლო სხდომაზე დააგვიანა მოსამართლემ, დაგვიანების მიზეზი უცნობია (3 შემთხვევაში); ხოლო ერთ პროცესზე მოსამართლემ დააგვიანა პირადი მიზეზის გამო, რაც მოსამართლის თქმით, მხარეთათვის ცნობილი იყო. ერთ-ერთ საქმეზე კი მოსამართლის მხრიდან სხდომაზე დაგვიანების მიზეზი წინა სხდომის დიდხანს გაგრძელება იყო.*
- *პროკურორებმა დააგვიანეს სასამართლოს 2 სხდომაზე, აქედან ერთი იმყოფებოდა სხვა პროცესზე, ხოლო მეორე - დისტანციურად საქმის განხილვაში დროულად არ ჩაერთო (მიზეზი უცნობია).*
- *სხდომაზე დაიგვიანა დაცვის მხარემ.*
- *პროცესზე დააგვიანა ბრალდებულმა.*
- *დააგვიანა მოწმემ (2 შემთხვევაში).*
- *სხვა დანარჩენ შემთხვევებში დაგვიანების მიზეზები უცნობია.*



<u>სამოქალაქო საქმეებზე</u> **პროცესების დაგვიანების მიზეზები:**

- *პროცესზე დააგვიანა მხარემ (2 შემთხვევაში).*
- *ერთ-ერთ პროცესზე წარმოიშვა ტექნიკური ხარვეზი აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით.*
- *მოსამართლე დაგვიანებით შევიდა სხდომათა დარბაზში, თუმცა სასამართლო სხდომა მაინც არ დაწყებულა, ვინაიდან აგვარებდნენ დისტანციურად ჩართვის საკითხს. გარდა ამისა სასამართლო პროცესზე დააგვიანა მოსამართლემ (4 შემთხვევაში), მიზეზი უცნობია.*
- *ერთ-ერთ პროცესზე დააგვიანა მოპასუხის ადვოკატმა, რომელმაც მოსამართლეს გააცნო შესაბამისი ინფორმაცია.*

- ✓ *სხვა დანარჩენი სასამართლო სხდომების გვიან დაწყების მიზეზები დამკვირვებლებისთვის უცნობია.*

<u>ადმინისტრაციულ საქმეებზე</u> ერთ-ერთი პროცესი დაიწყო 30 წუთის დაგვიანებით, ხოლო მეორე - 15 წუთის დაგვიანებით, როგორც დამკვირვებელი განმარტავს, ამ შემთხვევაში მოსამართლემ დააგვიანა პროცესზე, მაგრამ მიზეზი უცნობია. სხვა დანარჩენი 3 პროცესი დროულად დაიწყო.

- **რა განმარტებები გაკეთდა სასამართლო სხდომის დაგვიანებით დაწყების შემთხვევაში**

<u>სისხლის სამართლის საქმეებზე</u> დაგვიანებით ჩატარებული პროცესებიდან ერთ-ერთზე მოსამართლემ განმარტა, რომ არსებობდა პენიტენციური დაწესებულებიდან ჩართვის პრობლემა, ხოლო მეორე საქმეზე მხარეებს დაგვიანებასთან დაკავშირებით მიმართა მოსამართლემ და აღნიშნა, რომ სხდომაზე დაგვიანება მისთვის მიუღებელია. გარდა ამისა, მონიტორინგის პერიოდში ერთ-ერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ <u>მხოლოდ ერთმა მოსამართლემ მოიბოდიშა სხდომის გვიან დაწყების გამო.</u> ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში პროცესების გვიან დაწყებასთან დაკავშირებით განმარტებები არ გაკეთებულა.

<u>სამოქალაქო საქმის</u> განხილვისას ორ შემთხვევაში აღნიშნა მოსამართლემ, რომ პროცესის დაგვიანების მიზეზი იყო ხარვეზი დისტანციურ ჩართვასთან დაკავშირებით. ასევე ერთ-ერთ პროცესზე დაიგვიანა მხარემ, რომელმაც სასამართლოს დასრულების შემდეგ მოიბოდიშა. აგრეთვე სხდომაზე დაგვიანებისთვის მოიბოდიშა ადვოკატმა და წარადგინა დაგვიანების მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი. სხვა პროცესებზე დაგვიანების მიზეზებზე განმარტებები არავის გაუკეთებია.

<u>ადმინისტრაციული საქმეების</u> განხილვისას დაგვიანებულ სხდომებზე განმარტებები არ ყოფილა.

- **დაიხურა თუ არა სხდომა საზოგადოებისთვის**

მონიტორინგის განმავლობაში მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული საქმე იქნა განხილული დახურულ სხდომაზე, სხვა კატეგორიის საქმეებზე, რომლებიც „სასამართლოს გუშაგის“ დამკვირვებლებმა შეარჩიეს მონიტორინგის მიზნით, სასამართლო სხდომა არ დახურულა.

- **ჰქონდა თუ არა მოსამართლეს პრობლემა დამკვირვებელთან მიმართებაში, რომელიც სხდომას ესწრებოდა**

მონიტორინგის განმავლობაში ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, უფრო მეტიც, ერთ-ერთმა მოხალისემ ისიც აღნიშნა, რომ მოსამართლემ დამკვირვებლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გამოხატა. გარდა ამისა, ერთ-ერთ სისხლის სამართლის განხილვისას მოსამართლემ რამდენჯერმე ახსენა, რომ „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ დამკვირვებლების დასწრების გამო ის დამატებით განმარტავდა საპროცესო მექანიზმებს, რათა მას არ აღექვა, რომ თითქოს სასამართლო მიკერძოებულია რომელიმე მხარის მიმართ.

სამოქალაქო საქმის განხილვისას მხოლოდ ერთმა მოსამართლემ უთხრა დამკვირვებელს, რომ *შემდეგში აუცილებლად წარედგინა მოწმობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ის ამ პროექტის მონაწილეა.*

- **ჰყავდათ თუ არა მხარეებს (ბრალდებულს) წარმომადგენელი/ადვოკატი**

სისხლის სამართლის საქმეზე ჰყავდა თუ არა ბრალდებულს ადვოკატი



სამოქალაქო საქმეზე ჰყავდა თუ არა მხარეს წარმომადგენელი/ადვოკატი



ადმინისტრაციულ საქმეებზე: 3 შემთხვევაში მხარეს ჰყავდა წარმომადგენელი, ხოლო 2 შემთხვევაში - არა.

- **ჰქონდა თუ არა პროცესის მონაწილეს კომუნიკაცია მოსამართლესთან დარბაზში შესვენების დროს**

სისხლის სამართლის საქმეებზე მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღნიშნა დამკვირვებელმა, რომ პროკურორი კომუნიცირებდა მოსამართლესთან და მდივანთან სხდომის დახურვის შემდეგ, დეტალები დამკვირვებლისთვის უცნობია.
სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებით დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ შესვენებაზე მოპასუხე გაეცნო ახალ დოკუმენტს და მოსამართლე მათ ესაუბრა მორიგების თაობაზე, განიხილეს პოზიციები, ხოლო მოსამართლემ მოპასუხეს განუმარტა მორიგების დადებითი და უარყოფითი მხარეები.
ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

- **გულდასმით მოუსმინა თუ არა მოსამართლემ მხარეებს და ჰკითხა თუ არა მათ ჰქონდათ თუ არა შეკითხვები ან თხოვნა/შუამდგომლობა**

სისხლის სამართლის პროცესის თაობაზე დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლეები მხარეებს გულდასმით უსმენდნენ. ერთ-ერთმა მოხალისემ ასევე მიუთითა, რომ მოსამართლემ შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მხარეებს დეტალურად განუმარტა.

სამოქალაქო საქმეების მონიტორინგის შედეგად დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლეები მხარეებს უსმენდნენ გულდასმით, უსვამდნენ შეკითხვებს შუამდგომლობების და სხვა საკითხების თაობაზე.
ადმინისტრაციულ საქმის განხილვასთან დაკავშირებით ერთმა მოხალისემ აღნიშნა, რომ მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლემ მხარეებს <u>გულდასმით არ მოუსმინა.</u>

- **აკმაყოფილებდა თუ არა მოსამართლე მხარეების მოთხოვნებს თანაბრად**

სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლეები ძირითადად თანაბრად აკმაყოფილებდნენ მხარეთა მოთხოვნებს, ერთ შემთხვევაში კი - მოსამართლე მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა/იზიარებდა პროკურორის მოთხოვნას. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი დამკვირვებლის აზრით, მოსამართლე მხარეების მოსაზრებებს ითვალისწინებდა, უარის შემთხვევაში კი დასაბუთებულ პასუხს აძლევდა მათ. არ შეინიშნებოდა რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოება ან რაიმე ფორმით დისკრიმინაცია. ამასთან მოხალისემ კითხვარში მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ დააკმაყოფილა მხოლოდ პროკურორის მოთხოვნა, მან დასაბუთებულად წარმოადგინა არგუმენტი.

სამოქალაქო საქმის განხილვასთან მიმართებაში <u>სამ შემთხვევაში აღნიშნა დამკვირვებელმა, რომ მოსამართლე მხარეების მოთხოვნებს თანაბრად არ აკმაყოფილებდა.</u> ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევებში აღნიშნეს, რომ მხარეთა მოთხოვნებს მოსამართლე თანაბრად აკმაყოფილებდა. მაგალითად, ერთ-ერთი მოხალისე აღნიშნავს, რომ მოსამართლე პროცესის მიმდინარეობისას ორივე მხარის მიმართ გამოირჩეოდა თანაბარი მოპყრობით, ადგილი არ ჰქონია რომელიმე მხარისადმი უპირატეს მოპყრობას და ყურადღებით უსმენდა შუამდგომლობებს, ეკითხებოდა მეორე მხარეს რამის დამატება ან უარყოფა ხომ არ უნდოდა. ერთ-ერთი სამოქალაქო საქმე, როგორც დამკვირვებელი აღნიშნავს, მორიგებით დასრულდა.

ადმინისტრაციული საქმეების განხილვასთან დაკავშირებით დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლე მხარეების მიმართ გამოირჩეოდა თანაბარი მოპყრობით, მოსამართლე თანაბრად უსმენდა მხარეებს და ითვალისწინებდა მათ პოზიციას.

- **რა საკითხებს აპროტესტებდა ადვოკატი/მხარე მოსამართლის წინაშე და როგორ რეაგირებდა მოსამართლე**

სისხლის სამართლის საქმეები: *ძირითადად მხარეები აპროტესტებდნენ კითხვის ფორმულირებას, მოსამართლე ისმენდა და შემდეგ იღებდა გადაწყვეტილებას*

დაეკმაყოფილებინა თუ არა მხარის პროტესტი. ხოლო 2 სხვადასხვა სასამართლო პროცესზე არცერთ მხარეს არ ჰქონია პროტესტი.

სამოქალაქო საქმეები: ერთ-ერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარე აპროტესტებდა მოპასუხის შუამდგომლობებს, რაც სასამართლომ არ გაიზიარა. ხოლო მეორე დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ ადვოკატი აპროტესტებდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ საუბრისას ხელის შეშლას, რაც მოსამართლემ აღკვეთა და მიუთითა მხარეს წესრიგის დაცვისკენ.

ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

- **დარჩა თუ არა დამკვირვებელს შთაბეჭდილება რომ მოსამართლე მოუმზადებელი იყო**

ძირითად შემთხვევებში დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მათ ასეთი შთაბეჭდილება არ დარჩენიათ, მხოლოდ ადმინისტრაციული საქმის განხილვისას ერთ შემთხვევაში დამკვირვებლის მოსაზრებით <u>მოსამართლე მოუმზადებელი იყო, რადგან სასამართლო სხდომის გახსნისას სხვა საქმე წაიკითხა.</u>

- **მიმართა თუ არა მოსამართლემ რომელიმე მხარეს უხეშად ან აგრესიულად**

სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთ პროცესთან დაკავშირებით დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ <u>ბრალდებული, რომელსაც ადვოკატი არ ჰყავდა, მოსამართლემ უხეშად გააკრიტიკა.</u> დამკვირვებლის მოსაზრებით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ბრალდებული ვერ ერკვეოდა სამართლებრივ საკითხებში. სხვა ყველა დანარჩენ პროცესებზე მოსამართლის მხრიდან მხარისადმი უხეშ ან აგრესიულ მიმართვას ადგილი არ ჰქონია, მეტიც, ერთ-ერთ შემთხვევაში დამკვირვებელმა მიუთითა, რომ მოსამართლე პროკურორის უხეშობის განმუხტვას ცდილობდა. ერთმა მოხალისემ აღნიშნა, რომ <u>მოსამართლემ საკმაოდ მკაცრად მიმართა ადვოკატს, რათა ხელი არ შეეშალა პროკურორისთვის საუბრის დროს, თუმცა ეს არ ყოფილა უხეში ან აგრესიული ფორმით.</u>

სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, <u>მოსამართლემ მხარეს არაერთხელ მისცა შენიშვნა, მიუხედავად ამისა მან რამდენჯერმე გაიმეორა ერთი და იგივე არგუმენტები, რაზეც მოსამართლემ ტონს აუწია.</u> ხოლო სხვა საქმის შესახებ დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ მოსამართლემ <u>„ოდნავ უხეშად მიმართა“ მოსარჩელის წარმომადგენელს, რადგან ის მოპასუხეს არ აძლევდა სიტყვის დასრულების საშუალებას.</u>

ადმინისტრაციული პროცესების მონიტორინგიდან გამომდინარე დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ მოსამართლის მხრიდან უხეში ან აგრესიული მიმართვის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

- **სხდომის მიმდინარეობისას გამორთო თუ არა მიკროფონი მოსამართლემ და რატომ**

დამკვირვებლებმა ორ სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებით, აქედან ერთი სისხლის სამართლის, ხოლო მეორე სამოქალაქო საქმის შესახებ, აღნიშნეს, რომ მოსამართლეები გარკვევით არ საუბრობდნენ. კიდევ ერთ სამოქალაქო საქმეზე სხდომის მონიტორინგის შედეგად დამკვირვებელმა მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესი ფაქტობრივად მიმდინარეობდა, მოსამართლემ მიკროფონი ჩართო მოგვიანებით ანუ მას შემდეგ, რაც სხდომა ოფიციალურად გახსნა.

- **თუ სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების (ან განაჩენის) გამოცხადებით, მიაწოდა თუ არა მოსამართლემ მხარეებს გასაჩივრების შესახებ ინფორმაცია მკაფიოდ**

სისხლის სამართლის საქმეთა პროცესები, რომლებსაც მონიტორინგის მიზნით ესწრებოდნენ დამკვირვებლები, საბოლოო განაჩენის გამოცხადებით არ დასრულებულა. **სამოქალაქო საქმეების** მონიტორინგის შესახებ ერთ შემთხვევაში აღინიშნა, რომ ვინაიდან მოსამართლე სწრაფად საუბრობდა, ინფორმაციის აღქმა იყო რთული. რაც შეეხება **ადმინისტრაციულ პროცესებს,** მონიტორინგის დროს მოხალისეთა მიერ შერჩეული საქმეები საბოლოო გადაწყვეტილებით არ დასრულებულა.

- **თუ სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების (ან განაჩენის) გამოცხადებით, მოსამართლემ განუმარტა თუ არა მხარეებს მისი გადაწყვეტილება**

სამოქალაქო საქმეზე დამკვირვებლებმა 8 შემთხვევაში აღნიშნეს, რომ მოსამართლემ ახსნა საკუთარი გადაწყვეტილება დეტალურად და დამსწრეთათვის გასაგებ ენაზე, ხოლო ერთ-ერთმა დამკვირვებელმა მიუთითა, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება ახსნა გასაგებად, მაგრამ მოკლედ.

ადმინისტრაციულ საქმეზე მოსამართლემ ახსნა საკუთარი გადაწყვეტილება დეტალურად და დამსწრეთათვის გასაგებ ენაზე 2 შემთხვევაში, ხოლო ერთი დამკვირვებელი მიუთითებს, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება ახსნა გასაგებად, მაგრამ მოკლედ.

- **დამკვირვებლის შეფასებით, მთლიანობაში, რამდენად სამართლიანად მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი**

დამკვირვებლების შეფასებების ზოგადი შეჯამება:

- ✓ დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ის სასამართლო პროცესები რომლებსაც ესწრებოდნენ, წარიმართა სამართლიანად; მოსამართლეები ითვალისწინებდნენ მხარეების მოთხოვნებს და არ შეინიშნებოდა მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ; ამავე დროს მხარეებს თანაბრად ჰქონდათ შესაძლებლობები, რომ მათი პოზიცია დაეფიქსირებინათ. ზოგადად საქმეთა განხილვები, რომლებსაც დამკვირვებლები ესწრებოდნენ, მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნაფიცი მსაჯულებისათვის ინფორმაციის მიწოდების მარტივი და ამომწურავი გზა, რა დროსაც მოსამართლე იშველიებდა წინასწარ მომზადებულ პრეზენტაციას. ერთ-ერთ შემთხვევაში მოხალისემ ისიც მიუთითა, რომ ნათლად გამოჩნდა მოსამართლის პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულება, რადგან ის მაქსიმალურად ცდილობდა მოწმეებისთვის შეექმნა კომფორტული გარემო.

დამკვირვებელთა კომენტარები სხვადასხვა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით (ციტირებები მცირე სტილისტური ცვლილებებით):

- ✓ „ეს იყო სხდომა, რომელიც სხვა პროცესებთან შედარებით ნაკლებად მომეწონა, რადგან მოსამართლის მიერ გაზიარებულმა პროკურორის პროტესტმა უსამართლობის განცდა დამიტოვა“.
- ✓ „მე როგორც რიგითმა მოქალაქემ, ვერ გავიგე, რატომ დაიწყო პროცესი დაგვიანებით“.
- ✓ „მოსამართლე სამართლიანობის თვალსაზრისით იყო სამართლიანი, თუმცა ის სხდომის გახსნისას არ გაგვეცნო“.
- ✓ **„მოსამართლე ხმამაღლა მიმართავდა მხარეებს და მოწმეებს. რამდენჯერმე გაამახვილა ყურადღება დროსთან დაკავშირებით, პატივი ეცათ როგორც მოსამართლის, ასევე მათი დროისათვის. მოსამართლე არ მიმართავდა თქვენობით, ხშირად იყენებდა ტერმინებს „ხო, კაი“, რაც მიმაჩნია, რომ არც ისე კორექტულია. ასევე იყენებდა ისეთ ჟესტიკულაციას, რომ ვფიქრობ, მოსამართლეს სურდა მალე დაესრულებინათ პროცესი. ასევე უჭირდა პროკურორის და ადვოკატის კამათის შეჩერება, იყენებდა ტერმინებს „კაცო“, „ხალხო“. გარდა ამისა, უკმაყოფილება გამოთქვა ვიდეოჩანაწერის დაგვიანებით ჩვენების გამო - „ღმერთო ჩემო“. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადვოკატების კინკლაობამ დააკარგვინა დიდი დრო“.**

- ✓ „უნდა აღინიშნოს სასამართლოს დარბაზში ტექნიკური გაუმართაობა ვიდეომასალების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელსაც ბევრი დრო დაეთმო. ამის გამო სხდომაზე 2-ჯერ გამოცხადდა შესვენება. ვიდეოჩანაწერი ჩვენებისას არ ჩანდა გარკვევით და დამსწრეებს უჭირდათ მისი აღქმა.“
- ✓ „ბრალდებულს უჭირდა ქართული ენის გაგება, თუმცა მან განაცხადა რომ თარჯიმნის დახმარება არ სურდა, მოსამართლე კი თავის მხრივ ცდილობდა ნელა და გარკვევით ესაუბრა, რამდენჯერმე უმეორებდა ბრალდებულს, რათა მას გაეგო ნათქვამის შინაარსი“.
- ✓ „ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი. მოსამართლემ გაითვალისწინა ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა და მისი თხოვნა, მაქსიმალურად შემცირებულიყო გირაოს თანხა (3000 ლარი), გარკვეულწილად დაკმაყოფილდა და შემცირდა 1000 ლარამდე. პროკურორმა მოითხოვა გირაოს გადახდამდე ბრალდებულის პატიმრობა, რაც დაკმაყოფილდა, ვინაიდან მოსამართლემ გამოარკვია, რომ გირაოს გადახდის უზრუნველყოფისთვის სხვა მექანიზმი არ იყო. თუმცა მოსამართლის კითხვაზე, პროკურორის მოთხოვნას ეთანხმებოდა თუ არა, მხარემ მხოლოდ ის მოიფიქრა რომ გირაოს თანხა შემიმცირეთო, თუმცა მან ვერ მოახერხა გარკვევით გამოეთქვა ის, რომ არ სურდა გამოყენებულიყო პატიმრობა, ნერვიულობდა. ადვოკატი რომ ჰყოლოდა მისი ინტერესები უკეთესად იქნებოდა დაცული“.
- ✓ „ერთადერთი ხარვეზი სხდომის დაგვიანებით დაწყება იყო, ჩემი აზრით. თუმცა მოსამართლე საუბრობდა მკაფიოდ, გარკვევით და აქტიურად იყო ჩართული პროცესში, ჩანდა რომ საქმე კარგად ჰქონდა შესწავლილი“.
- ✓ „მთლიანობაში მეტ-ნაკლებად ნორმალურად ჩატარდა პროცესი, უბრალოდ, მოსამართლე სწრაფად და გაუგებრად საუბრობდა, მხარეები არ იყვნენ მომზადებულნი. მოსამართლე იცავდა ნეიტრალურობას და შეჯიბრებითობას. კარგი იქნებოდა თუ გარკვევით ისაუბრებდა და საქმის მასალები უკეთ ეცოდინებოდა. დროში გაწელილი პროცესის გამო, როგორც ჩანს, დეტალები არ ახსოვდა“.
- ✓ „სხდომის დახურვის შემდეგ მოპასუხის ადვოკატმა მიმართა მოსამართლეს და სთხოვა კიდევ ერთხელ აეხსნა, თუ როგორ გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება. თუმცა მოსამართლემ მიუთითა, რომ სხდომა დახურულია. ვფიქრობ სამართლიანად მოიქცა მოსამართლე, რადგან უკვე ნათლად ჰქონდა განმარტებული გასაჩივრების წესი“.
- ✓ „მოსამართლემ გაარკვია, რომ მხარის წარმომადგენელი არ იყო იურისტი და მისცა მას შესაძლებლობა კითხვები დაესვა, თუ რაიმეს ვერ გაიგებდა. მოსამართლემ ასევე განმარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, <u>თუმცა წარმომადგენელმა მაინც ვერ გაიგო შინაარსობრივად რას გამოიწვევდა მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში და მოსამართლეს დასთანხმდა დაეწყო საქმის არსებითი განხილვა.</u> ვფიქრობ, მას რომ სცოდნოდა რას გულისხმობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ის რომ მისი სარჩელი დიდი ალბათობით

დაკმაყოფილდებოდა, მაშინ, ის იშუამდგომლებდა ამასთან დაკავშირებით (ეს მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა რომ სარჩელი სრულიად დაკმაყოფილდა)“.

- ✓ „საქმე მიდიოდა სამართლიანად. მოსამართლე იყო მიუკერძოებელი და ცდილობდა მხარისათვის ყველაფერი აეხსნა გასაგებად. საქმე დასრულდა მოსარჩელე მხარის მიერ საქმის გაწვევით“.
- ✓ „ვფიქრობ, რომ პროცესი მიმდინარეობდა სამართლიანად. ამ პროცესზე კარგად ჩანდა მოსამართლის [ნინო გოგატიშვილის] მიერ საქმის მასალების კარგად ცოდნა. ვინაიდან საკითხი ეხებოდა ბავშვების საცხოვრებელი ადგილის ცვლილებას, მოსამართლემ გამოარკვია, ჰქონდათ თუ არა ბავშვებს სურვილი სასამართლოს წინაშე დაეფიქსირებინათ თავისი აზრი. ამის შემდეგ მოსამართლემ სპეციალურად მომზადებულ ოთახში გამოჰკითხა ისინი. **მოსამართლე გარკვევით და არაერთხელ იმეორებდა შეკითხვებს მოსარჩელის მიმართ, რომელსაც სურდა მასთან გადასულიყვნენ ბავშვები საცხოვრებლად. მოსამართლე ცდილობდა დეტალურად გამოერკვია რამდენად იქნებოდა ბავშვების ინტერესები დაცული თუ სარჩელი დაკმაყოფილდებოდა.** შესწავლილი იქნა ოჯახური მდგომარეობა, ბავშვებთან ურთიერთობის საკითხი, ფინანსური მდგომარეობა, ვინ იზრუნებდა ბავშვებზე, როდესაც მოსარჩელე (მამა) სახლში არ იქნებოდა და ა.შ. საბოლოოდ შემდეგი სხდომა ჩაინიშნა მხარეებთან შეთანხმებით“.
- ✓ „უნდა აღინიშნოს მოსამართლის მნიშვნელოვანი როლი მორიგების პროცესში. იგი მაქსიმალურად ეცადა, რომ მხარეები მორიგებულიყვნენ. საბოლოოდ ისე მოხდა რომ მეზობლები შეარიგა.“
- ✓ „სხდომა ჩატარდა ძალიან სწრაფად, რის გამოც ვერ მოვახერხე სხვა დეტალებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ერთსაათიანი დაგვიანება ვფიქრობ, რომ საკმარისი დარღვევაა თუ გავითვალისწინებთ, რომ მხარეები დროულად გამოცხადდნენ სასამართლოში“.
- ✓ „შემდეგი პროცესის ჩანიშვნისას დაცვის მხარემ მოსამართლეს უთხრა, რომ შეიძლება ზუსტ დროს ვერ მოვიდეო, რაზეც მოსამართლემ უპასუხა, 10-20 წუთი დაგვიანება ყველას გვეპატიებაო“.
- ✓ „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსამართლეს ორივე მხარის მიმართ ჰქონდა კეთილგანწყობილი და ობიექტური დამოკიდებულება. მოსამართლე მკაფიოდ და გასაგებ ენაზე ასაბუთებდა თითოეულ ნაბიჯსა და გადაწყვეტილებას. მოსამართლემ ისეთი გარემო შექმნა, რომ ყველაფერი მიმდინარეობდა უშუალოდ. მე პირადად ვისურვებდი თუ სასამართლოში დავა მომიწევდა სწორედ ეს მოსამართლე [თეა თაყაძე] ყოფილიყო ჩემი საქმის მსაჯული“.
- ✓ „მოსამართლემ [ლევან დარბაიძემ] ასაკოვან მამაკაცს შესთავაზა სკამი რადგან შეამჩნია, რომ დაკითხვის დროს გაუჭირდებოდა დგომა. ასევე დაკითხვის პროცესში, როდესაც შეატყო, რომ საუბარი უჭირდა მოითხოვა მისთვის წყალი და მხარეებს მიმართა გაეთვალისწინებინათ მოწმის ფიზიკური მდგომარეობა და კითხვები ხმამაღლა კონკრეტულად და მკაფიოდ დაესვათ, რათა მათი პროცესი მარტივად გაგრძელებულიყო.“

4. ძირითადი მიგნებები

უპირველეს ყოვლისა, დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ მოხალისეებს მიეცათ სასამართლო პროცესებზე შეუფერხებლად დასწრების შესაძლებლობა. როგორც დამკვირვებლებმა აღნიშნეს, მონიტორინგის განმავლობაში არ დაფიქსირებულა მოსამართლეთა მხრიდან მოხალისეების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შემთხვევა. უფრო მეტიც, რამდენიმე მოსამართლემ დადებითი განწყობა გამოხატა დამკვირვებლებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მოხალისეების მიერ შერჩეული სასამართლო პროცესების გადადებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ორ შემთხვევაში, სხვა ყველა დაგეგმილი სხდომა ჩატარდა. ვინაიდან სასამართლო პროცესების დაგეგმილ დროზე გვიან დაწყება ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე სხდომაზე მოსამართლეებმა დაგვიანებასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სხდომებზე შესვენების დროს არ ჰქონია ადგილი პროცესის მონაწილესა და მოსამართლეს შორის ისეთ კომუნიკაციას, რომელიც რაიმე სახის კითხვებს გააჩენდა. აღსანიშნავია, რომ დამკვირვებლების განმარტებით, მოსამართლეები მხარეებს გულდასმით უსმენდნენ (გამონაკლისის გარდა). ამავე დროს, მათ უმრავლეს შემთხვევაში მიუთითეს, რომ მოსამართლეები მხარეების მიმართ გამოირჩეოდნენ თანაბარი მოპყრობით, თანაბრად უსმენდნენ მხარეებს და ითვალისწინებდნენ მათ პოზიციებს. ამასთან, ძირითად შემთხვევებში დამკვირვებლებს არ დარჩენიათ შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მოუმზადებელი იყო. ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას არ დაფიქსირებულა მოსამართლეების მხრიდან უხეში ან აგრესიული ფორმით მიმართვის შემთხვევა. უმეტესად ანალოგიური მდგომარეობა იყო სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს, თუმცა იყო გამონაკლისებიც. რაც შეეხება გადაწყვეტილებებს, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით დამკვირვებლებმა არაერთხელ მიუთითეს, რომ მოსამართლეებმა გადაწყვეტილებები ახსნეს დეტალურად და დამსწრეთათვის გასაგებ ენაზე. მოხალისეების ზოგადი შეფასებით, ის სასამართლო პროცესები, რომლებსაც ესწრებოდნენ, წარიმართა სამართლიანად, რადგან მოსამართლეები ითვალისწინებდნენ მხარეების მოთხოვნებს და არ შეინიშნებოდა მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ. ამავე დროს მხარეებს თანაბრად ჰქონდათ შესაძლებლობები დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

გამოწვევები, რომლებიც გამოვლინდა პროცესებზე დაკვირვების შედეგად:

- სასამართლო პროცესები იწყებოდა დაგვიანებით, ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია სისხლის სამართლის პროცესები, რომელთა მხოლოდ 29% დაიწყო

დროულად. ხოლო სამოქალაქო პროცესების შემთხვევაში სასამართლო სხდომების 50% დაიწყო დროულად;

- რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა, რომ სასამართლო პროცესზე მოსამართლეები გასაგებად არ საუბრობდნენ, რაც მხარეებს და დამკვირვებლებს ინფორმაციის აღქმას ურთულებდა;
- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მოსამართლეები ზოგჯერ მოკლედ განმარტავდნენ გადაწყვეტილებებს; იყო მოსამართლის მხრიდან სწრაფად საუბრის შემთხვევები, შესაბამისად შინაარსი რთულად იყო აღსაქმელი;
- ადმინისტრაციულ საქმეზე დაფიქსირდა, რომ მოსამართლე სხდომის გახსნისას არ გაეცნო მხარეებს და არც მოსამართლის სახელის და გვარის აღმნიშვნელი წარწერა იყო სხდომათა დარბაზში;
- სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლემ ხმამაღალ ტონალობაში და შენობით მიმართა მხარეებს და მოწმეებს, იყენებდა ფამილიარულ მიმართვებს (,,ხო, „კაი“; ,,კაცო“; ,,ხალხო“) და შეუსაბამო ჟესტიკულაციებს;
- სხდომათა დარბაზში ვიდეოჩანაწერის ჩვენებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა ტექნიკური პრობლემა.

რეკომენდაციები

- **მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია:**
  - ✓ სასამართლო პროცესზე მოსამართლეები გასაგებად საუბრობდნენ, რაც მხარეებს და დამკვირვებლებს ინფორმაციის აღქმას გაუადვილებს;
  - ✓ მოსამართლეებმა საკმარისი სიცხადით განმარტონ, როგორც პროცესის დროს მიღებული, ისე საქმეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებები;
  - ✓ მოსამართლე სხდომის გახსნისას გაეცნოს მხარეებს და სხდომათა დარბაზში იყოს მოსამართლის სახელის და გვარის აღმნიშვნელი წარწერა;
  - ✓ მოსამართლემ კორექტულად მიმართოს მხარეებს და არ გამოიყენოს მხარეების მიმართ ფამილიარული მიმართვის ფორმები;
  - ✓ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი სასამართლო პროცესების დროულად დაწყება. ხოლო დაგვიანების შემთხვევაში, მოსამართლემ გასაგებად განმარტოს დაგვიანების მიზეზები და ზოგადად იზრუნოს, რომ შემცირდეს დაგვიანების შემთხვევები;
  - ✓ მოსამართლეთა მხრიდან განსაკუთრებული ძალისხმევას საჭიროებს პროცესუალური საკითხების ზედმიწევნით განმარტება იმ მხარეებისთვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი/ადვოკატი;
  - ✓ სასამართლო დარბაზებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზები, რათა სასამართლო პროცესები წარიმართოს შეუფერხებლად.

<u>დანართი</u>

საქართველოს სასამართლოს გუშაგი
GEORGIAN COURT WATCH

სასამართლო პროცესების მონიტორინგის კითხვარი

დამკვირვებლის სახელი, გვარი: ---------- თარიღი: ---------- ქალაქი: ----------

სასამართლოს და კოლეგიის დასახელება: ----------

მოსამართლე: ---------- დარბაზი #: -------- საქმე შეეხება: ----------

სხდომა იყო დისტანციური: კი ◻ არა ◻

კითხვა	კი	არა	არ ვიცი
1. ჩატარდა თუ არა სასამართლო სხდომა, რომელიც დაგეგმილი იყო?			
2. სასამართლო სხდომის დაწყების დაგეგმილი დრო: ..... ფაქტობრივი დრო: ..... *რა იყო დაგვიანების მიზეზი და ვინ დააგვიანა პროცესზე?*			
3. თუ სასამართლო სხდომა დაიწყო დაგვიანებით, განმარტა ან მოიბოდიშა თუ არა ვინმემ? *იმ შემთხვევაში თუ ეს ასე მოხდა, ვინ მოიბოდიშა და რა თქვა ამასთან დაკავშირებით?*			
4. დაიხურა თუ არა სხდომა საზოგადოებისთვის? *თუ კი, აღწერეთ დეტალები დახურვის შესახებ და გააკეთა თუ არა მოსამართლემ ამასთან დაკავშირებით? იყო თუ არა განსხვავებული აზრი?*			
5. ჰქონდა თუ არა მოსამართლეს პრობლემა დამკვირვებელთან მიმართებაში, რომელიც სხდომას ესწრებოდა? *თუ კი, გთხოვთ აღწეროთ დეტალები.*			
6. ჰყავდათ თუ არა მხარეებს (ბრალდებულს) წარმომადგენელი/ადვოკატი?			
7. ჰქონდა თუ არა პროცესის მონაწილეს კომუნიკაცია მოსამართლესთან დარბაზში შესვენებამდე, შესვენების შემდეგ ან შესვენების დროს? *თუ კი, გთხოვთ აღწეროთ დეტალები.*			
8. გულდასმით მოუსმინა თუ არა მოსამართლემ მხარეებს და ჰკითხა თუ არა მათ ჰქონდათ თუ არა შეკითხვები ან თხოვნა/შუამდგომლობა? *თუ არა, რატომ?*			
9. აკმაყოფილებდა თუ არა მოსამართლე მხარეების მოთხოვნებს თანაბრად? *აღწერეთ დეტალები.*			
10. რა საკითხებს აპროტესტებდა ადვოკატი/მხარე მოსამართლის წინაშე და როგორ რეაგირებდა მოსამართლე?			

კითხვა	კი	არა	არ ვიცი
11. **დაგრჩათ თუ არა შთაბეჭდილება რომ მოსამართლე მოუმზადებელი იყო?** *თუ კი, გთხოვთ აღწეროთ რატომ მიიჩნევთ ასე?*			
12. **მიმართა თუ არა მოსამართლემ რომელიმე მხარეს უხეშად ან აგრესიულად?** *თუ კი, გთხოვთ აღწეროთ დეტალები.*			
13. **გამორთო თუ არა მიკროფონი მოსამართლემ და რატომ?**			
14. **თუ სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების (ან განაჩენის) გამოცხადებით, მიაწოდა თუ არა მოსამართლემ მხარეებს ინფორმაცია მკაფიოდ, თუ როგორ და როდის უნდა გაასაჩივრონ?** *თუ არა, გთხოვთ აღწეროთ დეტალები.*			
15. **თუ სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების (ან განაჩენის) გამოცხადებით, მოსამართლემ განუმარტა თუ არა მხარეებს მისი გადაწყვეტილება?** *თუ არა, გთხოვთ აღწეროთ, გადაწყვეტილება იყო ბუნდოვანი თუ ძალიან მოკლე?*			

16. თუ მოსამართლემ გადაწყვეტილება განუმარტა მხარეებს, თქვენი აზრით რამდენად გასაგები იყო მოსამართლის გადაწყვეტილება?

a. ახსნა საკუთარი გადაწყვეტილება დეტალურად და დამსწრეთათვის გასაგებ ენაზე □
b. ახსნა გასაგებად, მაგრამ მოკლედ □
c. ახსნა დამსწრეთათვის გაუგებარ ენაზე □
d. მოახდინა მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლის (კანონმდებლობის) ციტირება და არ ახსნა, რატომ გამოიტანა კონკრეტული გადაწყვეტილება □
e. მოსამართლემ საერთოდ არ დაასაბუთა გადაწყვეტილება □

17. თქვენი შეფასებით, მთლიანობაში, რამდენად სამართლიანად მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი? *როგორი განცდა დაგრჩათ და რატომ?*

დამატებითი ჩანაწერების ადგილი